

ლექსემა „ლაჩარი“ (ეტიმოლოგია)

ავტორი: ნანა მაჭავარიანი

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი,

საქართველო თბილისი

E-mail: nana.machavariani@tsu.ge

ანოტაცია.

სიტყვა „ლაჩარი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად:

ლაჩარ-ი (ლაჩრისა) მშიშარა, მხდალი, ჯაბანი, ქლაჩუნა (საპირისპ. მამაცი). როცა უკან დახევა საშიშია, მაშინ ლაჩარიც-კი წინ წავაო (ხალხ.). მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს ლაჩარი შვილის ყოლაზე (ვაჟა). მასხრად იგდებდნენ მშიშარებსა და ლაჩრებს (ა. ყაზბ.). «ხანჯალი ამოიღე, შე ლაჩარო!» – შეუტია მილიციელმა (მ. ჯავახ.).

ლექსემა უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური ლაჩა „კოჭლი, უფეხო“-სიტყვიდან, რომელიც ტაპანთურში ადილეურიდანაა შესული: **ლაშა**, < **ლაჩა**, „კოჭლი“. საგულისხმოა აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში იმერულსა და რაჭულში დადასტურებული სიტყვა **ლაჩაკვა**, / **ჩალაკვა**, რომელიც „ცაცის“ აღნიშნავს. სავარაუდოდ, მნიშვნელობის გადაწვევით, შეიცავს მითითებას გარკვეულ ფიზიკურ ნაკლზე :- სიკოჭლესა და მემარცხენეობა/ცაცობაზე, რომელიც კავკასიური მენტალიტეტით ნაკლად ითვლებოდა წარსულში.

ქართული ენის მსოფლხედვის გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია სიტყვა გადააზრინებულებო შეზღუდულ უნარიანის აღსანიშნავად, შემდეგ კი მნიშვნელობა გაეფართოებინა და მშიშარა, ანუ ლაჩარი აღენიშნა.